# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

N 214 — კვირა, 27 სექტემბერი 1909 წ. — N 214

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზამდე 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მეორე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ისაზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ: მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## „დროების“ კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გაზეთი აღარ ეგზავნება ყველას, ვისაც წლიური ფასი არა აქვს გადახდილი.

**დროება**

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.



ბეგლარ კონიას ძე ვართანოვი და ნინო მოსეს ასული ვართანოვისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 22 ამ თვეს—პირველი ძმის, ხოლო მეორე მაზლის პირველი გილდის ვაჭრის

**კარაპეტ კონიას ძე (იგივე თომას ძე) ვართანოვისას.**

გამოსვენება კვირას, (27 სექტემბერს) დილის 10 საათზე, საკუთ. სახ., ბებუთოვის ქ. № 40; ნორაშენის ეკლესიაში; დაკრძალვა იქვე, ეკლესიის გალავანში. (2—471—2)



ნინო სტეფანეს ასული ვართანოვისა, ტიგრან და ისაკ კარაპეტის ძენი, ანნა არტემის ასული, ნატალია იაგორის ასული ვართანოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 22 ენკენისთვეს გარდაცვალებულის—პირველის მეუღლის, მეორეების—მამის, მესამეთა—მამამთილის, 1-ლი გილდის ვაჭრის

**კარაპეტ კონიას მის ვართანოვისას.**

გამოსვენება კვირას, (27 ენკენისთვეს) დილის 10 საათზე, საკუთ. სახლიდან, ბებუთოვის ქ., № 40. ნორაშენის ეკლესიაში; დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. (2—572—2)



წარმოდგენა № 1. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1.

სეზონის 1909—10 დასაწყისი

კვირას, 27 სექტემბერს, 1909 წელს ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ ნ. კოლხიდელის სადებიუტოდ და შ. შარაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**სამშობლო**

ისტორ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზაშელი, მ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, შ. შარაშიძე, ვ. მატარაძე, ი. ზარდალიშვილი.

**ადგილების ფასი.** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „მედეია“, „უდანაშაულოდ დასჯილნი“, „ექიმი აშირბარჯიანი“.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

ვისაც სურს ჩაეწეროს ქართულ დასში თანამშრომლად (სტატისტად), შეუძლიან მიმართოს ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში რეჟ. თანაშემწეს ვ. ურუშაძეს. (4—4)



**გამგე** კომიტეტი ტფ. გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოე**ბისა**

აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 15 საღამოს 7 საათზე თავ.-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა

**წლიური საზოგადო კრება**

განსახილველია: 1. საზოგადოების 1908 წ. მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენებითა.

2. შემოსავალ-გასავლის ხარჯთა აღრიცხვა 1909 წ.

3. მოხსენება გამგე კომიტეტისა „ხვრის“ მამულის გაყიდვის თაობაზე.

და 4. მიმდინარე საკითხები სწავლა-აღზრდის ხასიათის მქონებელი. (4—6—2)



**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—15)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—16)

**ექიმი კბილისა ს. ვაშაყმაძე**

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—17)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—17)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—258)

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სხივ. კურნებისა გ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 168.)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—75)

**ექიმი ვ. მაზაკიანი.**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—32)



**ექიმი გ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—23)

**ექიმი ჩარექოვი** ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესაზვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—17)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაღრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—9)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის დ. ს. რცხილაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

**სამკურნალო**

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი N 28 მიხაილოვსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—5)

ახლად გახსნილი

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. ზ. **ფელდღროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. **ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. **პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. გ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—166)

**სამკურნალო**

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

მ. **ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. **ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. **კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. **კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—15)

ნაფიცი ვექილი

**სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე**

**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში** (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს). (25—6.—18)



**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე $11$—$12^{1}/_{2}$ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—6.—97)



კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

ვლეხთა ამხანავობა

„კახეთი“

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ

„Kaxemiu“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ვგზავნებით ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Церковный № 7

(100—6.—1)



1 ოქტომბრიდან გამოვა დღე გამოშვებით

**„სახალხო გაზეთი“**

მცირე ფორმატისა. ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ. რედაქციის ადრესი: სტამბა „გუტენბერგი“, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩის კუთხე.

რედაქტორი და გამომცემელი

(3—3) **დარია ხრამელაშვილი.**



**შპალიერი**

ძმ.

**ფარნოპოლის**

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 12)



**ტფილისის წმ. სამების ეკლესიის კრებული და**

**მნათე**

სთხოვენ ზემო აღნიშნულს ეკლესიის მრევლს მობრძანდნენ კვირას, 27 სექტემბერს, 12 საათზე, რომ **აირჩიონ მნათე,** ხუთი წევრი სამზრუნველოსი და სამი წარმომადგენელი მრევლისაგან.

მღვდელი ვასილ **კარბელაშვილი.** (2—469—2)



ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს,

**მცხეთობა დღეს,**

მცხეთაში კოტე გედევანიშვილის ბაღში (აქედან მისავალში, სოფლის თავში) ადგილობრივ **წმ. ნინოს დედათა სკოლის სასარგებლოდ** გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა**

იქნება ყოველ გვარი გასართობი: ბედის კვერი, პტი-შვო, კონფეტტი და მრავალი სხვა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. გაიმართება ბუფეტი, სადაც ჩაი, ყავა, საჭმელ სასმელი იაფად გაიყიდება.

სეირნობა დაიწყება 12 საათზე. (4—უ.—2)


## ტფილისი, 27 სექტემბერი

21 სექტემბერს პეტერბურგში მომხდარ არჩევნების შედეგი უკვე იციან მკითხველებმა დეპეშებიდან: პეტერბურგის ამომრჩეველთა მეორე კურიამ სათათბიროს წევრად, ნაცვლად გაძევებულის კოლიუბაკინისა, ისევ კადეტთა კანდიდატი აირჩია.

პირველად ყ ვლისა ყურადღებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ ჟამად ორჯერ ნაკლებმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ვინემ წინა საერთო არჩევნებში. სულ 21 სექტემბერს თავისი პოლიტიკურის უფლებით ისარგებლა 24.442 კაცმა, მაშინ როდესაც 1907 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 44.992 ამომრჩეველმა. სულ მეორე კურიაში ირიცხება 86 ათასი ამომრჩეველი; მაშასადამე, წინა არჩევნებში მოქალაქობრივი უფლება აასრულა ამომრჩეველთა თითქმის 52 პროც.-მა, ეხლა კი მხოლოდ 28 პროც.-მა. ასეთი საგრძნობელი შემცირება მოწმობს დიდ ინდიფერენტიზმს და იმ გულგრილობას მცხოვრებლებისას, რომელზედაც ამას წინად გვქონდა ბაასი მკითხველებთან. რასაკვირველია, აქ ის გარემოებაც უნდა იქმნას მიღებული მხედველობაში, რომ მთავრობამ თითქმის სრულებით შეუძლებლად გახადა წინასწარი აგიტაცია; მაგრამ ამ მხრით საქმე არც 1907 წლის არჩევნებზე ყოფილა უკეთეს მდგომარეობაში და ამიტომ მარტო აგიტაციის შეუძლებლობით ვერ ავხსნით გამოაშკარავებულს ინდიფერენტიზმს. იგი საერთო მდგომარეობის შემდეგი უფროა: ყველა ჰხედავს მესამე სათათბიროს სრულს უძლურებას და თან და თან იკარგება ინტერესი იმის სვე-ბედისადმი.

ბურჟუაზიულ პრესსაში ამ საზოგადო და გაცვეთილ ფრაზად გადაიქცა [illegible] ლოზუნგების რწმენა დაეკარგაო. კადეტების ორგანოები ამ არჩევნების წინ ყოველ დღე იმეორებდნენ ამას, ხოლო როდიჩევმა ხაზგასმით გაიმეორა ერთ-ერთ წინასწარ საარჩევნო კრებაზე, ხალხი ეხლა თანდათანობის და საპარლამენტო ბრძოლის მომხრე არისო. მაგრამ, სინამდვილე ამას არ გვიმტკიცებს. ჯერ ერთი, ხალხის ხმა ჩვენ ამ ჟამად არ გვესმის არც სათათბიროში, 3 ივნისის კანონის წყალობით, და არც სათათბიროს გარეშე, ახლანდელ რეაქციის მძვინვარების მიზეზებით; მეორეც ის, რომ სრულებით ვერ ვხედავთ, რომ ქვეყანაში მართლა ძლიერდებოდეს რწმენა იმ ლოზუნგისადმი, რომელნიც კადეტებმა წამოაყენეს ნაცვლად სარევოლიუციო ლოზუნგებისა. როდიჩევის სიტყვა რომ მართალი იყოს, ისეთი ამბავიც არ მოხდებოდა, რომლის მოწამენი გავხდით 21 სექტემბერს: კადეტების ტაქტიკისათ ის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად ორჯელ ნაკლები ხალხი არ მოვიდოდა ამ დღეს, ვიდრე 1907 წლის არჩევნებზე...

თვით არჩევნების შედეგი თავისთავად ინტერესს მოკლებული არ არის. აღსანიშნავი ის გარემოებაა, რომ სატახტო ქალაქში, იმ წრეებში, რომელთაც 3 ივნისის კანონმა ჩაუგდო ხელში ბურთი და მოედანი, მთავრობის მომხრე პარტიებს ვერავითარი ნიადაგი ვერ მოუპოვებიათ. ოქტომბრისტები იმდენად სუსტად სთვლიდნენ თავის მდგომარეობას პეტერბურგში, რომ არც-კი უცდიათ კადეტებთან ბრძოლა. მათმა კანდიდატმა, პროფ. გრიბოედოვმა, მხოლოდ 3951 ხმა შეაგროვა, ე. ი., მეექვსედი ნაწილი ყველა მოსულ ამომრჩევლებისა. ბიუროკრატიულმა პეტერბურგმაც-კი დაჰგმო ეს ხელოვნურად შექმნილი პარტია, რომლის არსებობის მთელი დედა-აზრი სტოლიპინის პოლიტიკის დაცვაშია! ოქტომბრისტების დამარცხება სტოლიპინის დამარცხებაა, როგორც ჭეშმარიტ რუსთა კავშირის დამარცხება მაღალ სფერების და კამარილიას დამარცხებაა. ამათმა კანდიდატმა, ცნობილმა ბულაცელმა, მხოლოდ 1242 ხმა მიიღო.

მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიების და ელემენტებსა წარმომადგენლებთაგან მიიღეს: კადეტმა კუტლერმა 12,461 ხმა, ს.-დემოკრატმა სოკოლოვმა 4677 ხმა და უპარტიო კუზმინ-კარავაევმა — 1799 ხმა. სოკოლოვის დამარცხება, რასაკვირველია, მოულოდნელი და გასაკვირველი არაა და სულ უბრალოდ აიხსნება; უფრო რთულია და მასთან უფრო საინტერესო კუზმინ-კარავაევის დიდი დამარცხება. კუზმინ-კარაევი თავის პოლიტიკურ-სოციალურის რწმენით ისევე ბურჟუაზიული დემოკრატია, მხოლოდ უფრო რადიკალურის მიმართულებისა, როგორც კუტლერი; იგი კუტლერზე უფრო ნიჭიერი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა და იმაზე უფრო გავლენიანი იყო სათათბიროში, მაშასადამე მოსალოდნელი იყო, რომ იგი უფრო მეტს ხმას შეაგროვებდა, ვიდრე ნამდვილად გამოდგა; ბევრი იმასაც ჰფიქრობდა, რომ კუზმინ-კარავაევის კანდიდატურა კადეტებს საქმეს გაუფუჭებდა. მაგრამ მოლოდინი გაცრუვდა და კუზმინ-კარავაევმა ყველა კანდიდატზე ნაკლები ხმა მიიღო. ეს იმას ამტკიცებს, რომ პეტერბურგის ამომრჩევლებმა ხაზი გაუსვეს თავის არჩევნების დემონსტრატიულის მიმართულება-ხასიათს: ერთის მხრით, გაძევებულ კადეტის კოლიუბაკინის ნაცვლად მთავრობას ისევ კადეტი უძღვნეს, მეორეს მხრით, მხარი დაუჭირეს ოპოზიციონურს პარტიას და ოპოზიციონურს პიროვნებას, რითაც უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატეს თავისი უკმაყოფილება თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობისა და ახლანდელ მთავრობისადმი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემიას“ აზრი არა რუსთა შესახებ ყველამ კარგად იცის. ულტრაშოვინისტური გაზეთი ბევრჯელ ამხედრებულა ჩვენსა და „ინოროდცების“ წინააღმდეგ და ათასი ჭორი გაუვრცელებია. არა ერთხელ დაუთესია ღვარძლი, არა ერთხელ უთქვამს, რომ კავკასია, როგორც ველურთა ქვეყანა, უნდა რუსებით დავასახლოთო. ნეტა ჩვენ რაღა უნდა გვიყონ?! სადაც კი ერთი-ორი ქართველი ან სხვა ტომის კაცი მუშაობს, რუსი შავრაზმელები ერთი ვაისა და ვუის ასტეხენ ხოლმე—არიქა, უცხო ტომის ხალხი შემოიჭრა, რუსეთი იღუპება, გვიშველეთო. ასეთ ჰანგებზე მღერის ხოლმე „ნოვოე ვრემია“. აბა, მოისმინეთ შუაგულ აზიიდან მიწერილ კორესპონდენციიდან შემდეგი „მარგალიტი“.

ძირტკბილას ვაჭრობა აქ სამი წელიწადია, რაც დაიწყო. საქმე დაიწყო ინგლისურმა ფირმამ მაკ-ანდრიუსისა და ფორბირამ. ეს ფირმა წინად ძირტკბილას ამიერ-კავკასიაში ყიდულობდა ხოლმე. ქარხანა არსებობს ჩარჯუიში, აქედან დაქაჩულ ძირტკბილას მილიონ ფუთობით ჰგზავნიან ამერიკასა და ინგლისს. სამწუხაროდ, ამ ფირმამ „აღგზნებულ კოლხიდიდან“ მოიყვანა სამუშაოდ „ამხანაგების“ ტიპის ხალხი. ეს ხალხი ისევე მოღვაწეობს და ატყუებს ბუხარის სოფლის მცხოვრებთ, როგორც ქუთაისის გუბერნიისას. საკმაო იყო საქმის გამგედ ფირმას მოეწვია ერთი


**საბურთალოზე**

ახალ ეკკლესიის მახლობლად, იყიდება ახლად ნაჭრებად დაჭრილი მამული საგაბაშვილო; მშვენიერი მდებარეობა, ჰაერი, საქართველოს სამხედრო გზა და მტკვარი ზედ გვერდზედ. პირობისთვის შეგიძლიანთ მიმართოთ ოლგას ქუჩაზე სახლი № 6, ეზოში მეორე სართული. (3—459—3)



ქარ. დრამატ. საზოგადოების

**გამგეობა**

სთხოვს ყველას, ვისაც გამგეობის ბიბლიოთეკიდან წაღებული აქვს **პიესები, წიგნები ან როლები** დაუბრუნოს ამ მოკლე ხანში გამგეობის კანტორაში ბიბლიოთეკის გამგეს იოსებ იმედაშვილს.

(3—2) **დრამ. საზ. გამგეობა**

იმერელი, რომ დანარჩენ მოსამსახურეებად მისივე თანამემამულენი მიეღოთ.

საზოგადოდ ჩარჯუი ძალიან მოეწონათ კეთილ ქუთაისელებს. განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ ხომ იქ დაარსდა მთელი კოლონია გურულებისა, მეგრელებისა და იმერლებისა. ძირ-ტკბილით ვაჭრობის გარდა ამათ ხელში ჩაიგდეს ტრაქტირები, ბუფეტები, სასტუმროები და სხვა დაწესებულებანი და ამნაირად აქ გაჩნდა შტაბკვარტისა (მთავარი სადგომი) კავკასიელ ექსპროპრიატორთა, რომელთაც ფართოდ გაშალეს ფრთები და შუაგულ აზიაში გაცარცვეს ბევრი დაწესებულება, დაწყებული 450,000 მანეთს გატაცებიდან რკინის გზაზე. ამ საქმის გამო აქ ბევრი გურული დააპატიმრეს, მათ შორის ერთი სასტუმროს პატრონი, ვინმე შერვაშიძე.

ასეთ ამბებს აწვდის კორესპონდენტი თავის გაზეთს. ორიოდე ქართველი წასულა სხვაგან ლუკმა-პურის საშოვნელად და ისიც-კი შეშურდათ და მაშინვე ექსპროპრიატორებად და მცარცველებად მონათლეს. ამგვარ ოინის დაფარული აზრი აშკარაა: უნდათ აამხედრონ სამუშაოს მიმცემნი, რომ ქართველ მშრომელ ხალხს გასავალი აღარ მისცენ—არსად არ ამუშაონ. საკვირველია, ღმერთმანი, შინაც აღარ გვაყენებენ და სხვა მხრიდანაც გვერეკებიან!..

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 სექტემბერი

### საზღვარ-გარედ.

**ბუდაპეშტი.** დღეს, 26 აგვისტოს, მეფემ მიიღო მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე. ვეკერლემ ხელმეორედ სთხოვა მეფეს სამინისტროს გადადგომის შესახებ. მეფემ ვეკერლეს გადასცა, ამ დღეებში მივიღებ გადაწყვეტილებასო. ამის შემდეგ ვეკერლე ბუდაპეშტში დაბრუნდა.

**ბუდაპეშტი.** დილის 10 საათსა და 59 წუთზე ზაგრების ახლო-მახლო მიწა იძრა. სლავონიიდან და ხორვატიის მოსაზღვრე ადგილებიდან ცნობა მოვიდა, მიწა იძრაო.

**ამსტერდამი.** ზვეინდრეხტში, დორტრეხტის ახლო, ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**ლონდონი.** „მორნინგ-პოსტს" ვაშინგტონიდან დეპეშით ატყობინებენ: შეერთებულ შტატების პეკინელ ელჩის კრენის ვაშინგტონში გაწვევას კავშირი აქვს ჩინეთ-იაპონიის 28 აგვისტოს შეთანხმებასთანო. ჩინეთ-იაპონიის შეთანხმებით ანდუნ-მუკდენის რკინის გზის ახლო-მახლო მდებარე მაღაროები, გარდა ფუშუნის და იანტაის მაღაროებისა, ჩინელებმა და იაპონელებმა უნდა დაიმუშავონ, თუმცა კი ფუშუნის და იანტაის მაღაროები იაპონიის მთავრობამ უნდა დაიმუშაოს იმ პირობით რომ ჩინეთს სარგებლობა ჰქონდეს. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით შეთანხმების ეს მუხლები არღვევენ იმ დადგენილებას, რომლითაც ჩინეთის კარებები ყველასთვის ღია უნდა ყოფილიყო.

**პარიზი.** გაზეთები „ტანი" და „ჟურნალ-დე-დება" სიამოვნებით აღნიშნავენ ესპანიის ელჩის განცხადებას. რომ ესპანიას აღარ დასჭირდება მაროკოში ჯარის გაგზავნაო. ამ გაზეთების აზრით უსაფუძლოა გენერალ დამადის სიტყვები შეიძლება ესპანიას მაროკოში ძლიერი ჯარის გაგზავნა და ტაცის დაჭერა დასჭირდესო. მთავრობამ გენერალ დამადს განმარტება მოსთხოვა, რითი ხელმძღვანელობდი, როდესაც გაზეთების თანამშრომლებს გადაეცით, თუ ესპანელებმა მაროკაში ძლიერი ჯარი გაგზავნეს და ტაცი დაიჭირეს. საფრანგეთის ინტერესებს ხიფათი მოელისო.

**ბელგრადი.** გუშინ, 25 სექტემბერს, ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსიის წლის თავის დღეს, გაზეთები მგლოვიარობის ნიშნათ, სამგლოვიარო არშიით გამოვიდნენ, მაღაზიები დაკეტილი იყო, ყველგან ეროვნულ დროშები გამოჰკიდეს. მოედანზე, თეატრის ახლო რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა და კრება გამართა. წესიერება არავის დაურღვევია.

**პარიზი.** ზოგიერთი გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ გენერალ დამადის სიტყვების გამო, თუ ესპანიამ მაროკოში ძლიერი ჯარი გაგზავნა და ტაცი დაიჭირა საფრანგეთის ინტერესებს ხიფათი მოელისო. ამის შესახებ „ტანი" სწერს: გენერალ დამადის ეს სიტყვები გაკვირვებას და მწუხარებას იწვევენ. როგორც სჩანს გენერალ დამადს სრულებით არა სცოდნია საფრანგეთ-ესპანიის 1904-1905 წლების შეთანხმება მაროკოს შესახებ. ესპანიას აქნობამდის არ დაურღვევია ეს შეთანხმება. თუ დამადი თხოულობს, რომ საფრანგეთი მაროკოს საქმეებში ჩაერიოს, უნდა ვიცოდეთ რითი ხელმძღვანელობს გენერალი. საჭიროა გენერალს შემდეგი კითხვები დავუყენოთ: სად, როდის და ვის წინააღმდეგ უნდა იმოქმედოს საფრანგეთმა, ესპანიის წინააღმდეგ, თუ მულაი-გაფიდის, საფრანგეთმა ტაცი უნდა დაიჭიროს თუ მელილია? საფრანგეთს ურჩევნია ამისთანა პირობებში გარკვეული და ნათელი დარიგება მიიღოს და ამ შემთხვევაში დამადის საქმეში ჩარევა უშედეგო და სამწუხაროა.

### რ უ ს ე თ ი

**ირკუტსკი.** ოლქის სასამართლომ განიხილა გლეხთა კავშირის ვერხოლენსკის ორგანიზაციის საქმე. სამართალში მიცემული იყო 9 კაცი. სასამართლომ გადაუწყვიტა: სამს თითო წლით ციხე, ექვსი გაამართლა.

**მოგილევი.** დაბა გორბხში გადაიწვა 30 სახლი და სახაზინო არყის დუქანი. ზარალი 30,000 მანეთს უდრის.

**ორიოლი.** ერობის და ქალაქის საქმეთა საგუბერნიო მართველობამ ხელმეორედ გააუქმა ორლოვის ქალაქის თვითმართველობის ხმოსნების არჩევნები და დაადგინა სისხლის სამართალში მისცეს საარჩევნო კომისია და ქალაქის თავი სულხანოვი. ამათ ბრალდებათ არჩევნების დროს უკანონობის ჩადენა.

**კოვნო.** სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს მეიშტოვიჩი.

**ჩერნიგოვი.** სემენოვკას საზოგადოების გლეხებმა 10,000 მანეთი გადასცეს ოთხ-კლასიან სკოლის დასაარსებლად. სკოლა 1874 წლის ტიპისა იქნება.

**მოსკოვი.** ტორგოვი რიადებში მაღაზიის შეკეთების დროს ჩამოინგრა ხარაჩოები. დაშავდა 8 კაცი, მათ შორის, ორი მძიმედ.

**სიმფეროპოლი.** გამოირკვა, რომ ქალაქის საყასბოების კანტორას რევოლიუციონურ-მაქსიმალისტების სამხრეთ ორგანიზაციის წევრები დასცემიან.

**ჟიტომირი.** სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს გრაფი ოლიზარი.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზეთ „სვეტის" რედაქტორ ობლეუხოვის საქმე. ობლეუხოვს უჩიოდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შილო, თავის გაზეთში ცილი დამწამა და მაგინაო. სასამართლომ ობლეუხოვს გადაუწყვიტა ათი დღით დაპატიმრება და 50 მანეთით დაჯარიმება.

**ლივადია.** სასახლის მინისტრის დეპეშა: 24 სექტემბერს, ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილი ინება და მიიღო ოსმალეთის განსაკუთრებული საელჩო—გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა, გენერალ-ლეიტენანტი ნაზიმ-ფაშა, გარეშე საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორი ტიგრან-ბეი და საგენერალო შტაბის მაიორი ჯემალ-ბეი. საელჩოს მიღების შემდეგ, საღამოს 8 საათზე, სასახლეში გაიმართა სადილი, რომელზედაც მიიწვიეს ოსმალეთის ელჩები.

**სიმფეროპოლი.** ცეცხლი გაუჩნდა ქალაქის საყასბოებს. დაიწვა სახელოსნოები და სხვა და სხვა მასალა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 40, გარდაიცვალა 13, ავად არის 346 კაცი.

**კოსტრომა.** დღე-ღამეში ავად გახდა 6 კაცი.

**გროდნო.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2 კაცი.

## ქალთა უმაღლესი კურსები

გუშინ, 26 სექტემბერს, ტფილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ქობულაშვილის სახლში გაიხსნა ტფ. ქალთა უმაღლესი კურსები. ცოცხალის ყვავილებით მშვენივრად მორთულ სააქტო დარბაზში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გარდა, დაესწრნენ სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულების წარმომადგენლნი. იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ ტევა აღარ იყო. ნაშუადღევის 1 საათზე გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისამდე 1-ლ გიმნაზიის მღვდელმა ჯიოშვილმა სიტყვა წარმოსთქვა პარაკლისის შემდეგ კურსების დამაარსებელ კომიტეტის ერთმა წევრმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ ისტორია კურსების დაარსებისა. მან მადლობით მოიხსენა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი რუდოლფი, რომელმაც აქტიური დახმარება გაგვიწია ამ საქმეშიო. კურსებზე თხოვნა 211 ქალს შეუტანია. ჯერჯერობით მიუღიათ 184 ქალი. აქედან ქართველი 63-ია, რუსი—50, სომეხი—42, გერმანელი—6 და სხვანი. კურსების მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, პრივატ-დოცენტმა ხარიჩკოვმა წარმოსთქვა მცირე სიტყვა და შეეხო კავკასიის ბუნების სიმდიდრეს. აღნიშნა ის, თუ რა მნიშვნელობა ექნება კურსებს კავკასიისათვის.

ამის შემდეგ დაიწყო მილოცვები. დღესასწაული კურსების ინიციატორებს პირველად მიულოცა ტფილისის ქალაქის სახელით ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა. მან სთქვა, ტყუილია ვითომ ხალხში ამ ბოლო დროს ენერგია ჩამქრალიყოს. პირ-იქით დღევანდელი დღესასწაული იმის მაჩვენებელია, რომ სიცოცხლე სდუღსო. ბ-ნმა ხატისოვმა იმედი გამოსთქვა, რომ ქალთა უმაღლესი კურსები ხალხში ცოდნას შეიტანენო. მეორედ სიტყვა წარმოსთქვა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელმა, მარშალმა თავ. პ. ი. თუმანიშვილმა. მან უსურვა კურსებს აღორძინება ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოდ და განაცხადა, თავად-აზნაურობა, რომელიც კარგა ბლომად ფულს ხარჯავს სწავლა-განათლებაზე. ხელს გაუწვდის კურსებსაცაო. მესამე სიტყვა წარმოსთქვა წ.-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელმა, ბ-ნმა გ. ნ. ყაზბეგმა. მან აღნიშნა რომ საზოგადოება იმავე საქმეს ემსახურება, ე. ს. თაყაიშვილმა რისთვისაც კურსები დაარსდა. ქართულ საისტორიო საზოგადოების და რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების მხრივ კურსებს მიულოცა მან, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ პრინციპი მამაკაცთა და დედაკაცთა თანასწორობისა ქართველებმა ჯერ ისევ მე-12 საუკუნეში განამტკიცეს, სამეფო ტახტზე თამარის აყვანითო. ქართველთა განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო, დიდებული თამარ მეფე, ქეთევანი, მარიამი, რიფსიმე, გაიანე და შუშანიკა სათაყვანონი არიან ქართველთა და სომეხთაგან მათი ღვაწლისთვის სამშობლო ქვეყნის წინაშე. რომ ვისურვებთ, ტრადიცია თანასწორობისა განმტკიცებულიყოს ჩვენის ქვეყნის საკეთილ-დღეოდ.

შემდეგ კურსების დამაარსებელთ დღესასწაული მიულოცეს ტფ. სატეხნიკო საზოგადოებამ, კავკასიის ქალთა საზოგადოებამ, სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ, სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ, პოლონელთა სახლმა, ბუნების მოყვარე საზოგადოებამ, მშობელთა ცენტრალურმა წრემ, გაზეთმა „მშაკ"-მა და სხვებმა.

დასასრულ წაიკითხეს მისალოცი დეპეშები.

## ხალხური ლექსი

(ჩაწერილი სოფ. ჭყაპიაანთ კარში თედოფინეაანთ მაზარეხაგან)

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატიანთ ჯარაო;
ვაცხონე მშობელი შენი,
გაგზარდა მაგისთანაო!

ენაწყლიანი ბულბულობ,
უფლის თვალი გდევს თანაო;
ამოსთქვი, გული ატირდეს,
აუწი თან და თანაო!

გული შეერთე სიყვარულს,
გვიმოძღვრე ზეცასთანაო;
აგვიგე ძმობის ტაძარი,
ვილოცდეთ ურთ-ერთთანაო!

ფლიდსა და ბილწსა ვაჟ-კაცსა
არვისთან დაეხანაო,
ამოესილა გორხანა,
თვალზედ უაკრა შანაო.

ზეცამ წყალობა უძვირა,
ფათერაკი სდევს თანაო,
ხელ-ქმნილსა ღედე-ღუდეში
ყელში გაჰყროდა დანაო.

ამოსთქვი, გული ატირდეს,
აუწი თან და თანაო,—
გვიმადლიდეს ზეცით წყალობა,—
გვიმოძღვრე უფალთანაო!

* * *

ტაიჭი რამე ვიგულე
უგულო და უგრძნობელი,
კლდითი კლდე მატარა,
მატირა ძუძუ მშობელი.

ტაიჭი იგივ ბედია,—
ფლიდი და დაუნდობელი;
დღეს თუმცა გვწყალობს, ვინ იცის,
ხვალაც-და იყო მტკობელი!

—

სოფ. ჭყოპიაანთ კარი მდებარეობს მდ. თეძმის ხეობაზე, რომელზედაც ზედ გაივლის რკინში მიმავალი გზა. ამ სოფელში სცხოვრობს გლეხკაცობა, ეროვნებით ბერძენი; [illegible] სდევთრა: გლეხები მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს, შეუთვისებიათ ზნე-ჩვეულება და აგრეთვე ჩაცმა-დახურვა ქართველ გლეხკაცობისა. ბერძნულ ენაზე წარმოდგენაც არა აქვთ. ამავე სოფლის მახლობლად ფრიალო კლდედან ამაყად დასცქერის თეძმის ხეობას და რკინში მიმავალ გზას ეგრეთ წოდებული, დედა ციხე, აგებული, ისტორიის ცნობით, ქართლოსის მეუღლის მიერ მრავალი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე.

ი. კარგარეთელი.

## ავიატორები ქალაქ სპაში *)

(წერილი ბელგიიდან)

მრავალ დიდებულ მოვლენის მოწმე შეიქნა წლევანდელი წელიწადი. სპარსეთ-ოსმალეთის რევოლიუციები, საზარელი მიწის ძვრანი, ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენა კუკისა და პირის მიერ და ამ ბოლო დროს ჰაერის დამორჩილება,—ყველა ეს წლეულს მოხდა.

მოგეხსენებათ, რანაირის ახტაცებით ეგებებიან განათლებული სახელმწიფონი ჰაერის დამორჩილებას, ამ ახალ გამარჯვებას, და რანაირი დღესასწაული გამართეს საფრანგეთის სახელოვან მამულიშვილის, ბლერიოს გადაფრენის გამო ლამანშის სრუტეზე.

ჰაერის დამორჩილების სურვილსა და ცდას თავისი ისტორია აქვს, ხოლო წლევანდელი წელიწადი შესანიშნავია ამ საქმეში წინ გადადგმულ დიდის ნაბიჯით და გამარჯვებით. ბლერიოს გადაფრენის შემდეგ ყველგან მოისურვეს ჰაერში მფრინავ ადამიანების ნახვა. ამ აზრით იწვევენ ავიატორებს და აჯიბრებენ სხვა და სხვა ჯურის საფრენ-მანქანებს. ასეთი გაჯიბრება მოხდა რეიმსში (საფრანგეთი), ბეთანში (გერმანია), რომში (იტალია) და დღეს აქ, ქალაქ სპაში, რომელსაც (გაჯიბრებას) ბედნიერება მქონდა დავსწრებოდი და რომლის შესახებაც მინდა ორიოდე სიტყვა გადავცე მკითხველს.

ზემოხსენებული გაჯიბრება მოხდა სპაში 9—22 სექტემბერს. მე ლიეჟიდან სპაში წავედი 12 ენკენისთვეს და დილიდან საღამოს 6 საათამდე დავრჩი. ქ. ლიეჟიდან 1 საათის სამგზავროა. ამ დღეებისთვის მრავალი საგანგებო მატარებელი იყო დანიშნული. 10 საათზე უკვე სპაში გახლდით. ხალხი მოდიოდა ყოველ მხრიდან, ეტლებით, ავტომობილებით, მოტორებით, ველოსიპედებით. ქვეითა ხალხს ხომ ანგარიში არა ჰქონდა. გაჯიბრება დანიშნული იყო მალშამის მინდორზე, რომელიც სპადან $5^1/_2$ ვერსზე მდებარეობს. თვით სპა პატარა და კოხტა ქალაქია. მიდამოები ძალიან ლამაზი აქვს, ტყიანი მთები მეტად ამშვენებენ ამ პატარა ქალაქს, რომელიც მაღალ არისტოკრატიის დროს გასატარებელ ადგილად ითვლება და თვით ბელგიის მეფე ლეოპოლდ მეორე ხშირად სცხოვრობს აქ. სპიდან მალშამამდე მშვენიერი გზატკეცილი მიდის, რომელსაც ორივე მხრიდან მშვენიერი ტყე მისდევს.

მივახწიეთ თვით მალშამის მინდორს. ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა, იმის და მიხედვით, თუ ვის რა ფასიანი ბილეთი ჰქონდა. სახალხო ადგილი ერთი ფრანკი ღირდა ($37^1/_2$ კაპეიკი) ხოლო განსაკუთრებული ადგილები—10—20 ფრანკი. თვით მალშამი ასეთ სურათს წარმოადგენდა: მინდორი ოთხ-კუთხად შემოზღუდული იყო მავთულით. ერთ თავში 6 მოზრდილი ხის ოთახი და ზედ წარწერით: სომმერ, პოლან, დელაგრანჟ, ლებლონ, დრუე და სპოონ-ნაარ. ეს იმ ავიატორთა გვარებია, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ და რომელთა ჰაეროპლანებიც ამ ოთახებში ელაგა. იქვე ახლოს დამწკრივდა არისტოკრატია, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ—მდაბიო ხალხი. მუსიკაც უკრავდა. თვით შემოზღუდულში, ხალხისაგან დაშორებით, იდგა მაღალი ოთახი, საიდანაც ნიშნებს აძლევდნენ მაყურებლებს. ანიშნებდნენ, ვინ გამოდიოდა საფრენად, რა ნომრის მანქანა ჰქონდა და რის პრიზი უნდა აეღო. პრიზი ხუთნაირი იყო: სივრცისა, დროსი, სიმაღლისა, სიჩქარისა და თავისუფლად აფრენისა. ყველა მანქანას განსაკუთრებული თვისება აქვს: ზოგი მარდად ჰფრენს, ზოგი დიდ-ხანს, ზოგი ძალიან მაღლა ადის, ზოგი შორს მანძილზე მიფრინავს და ზოგიც თავისუფლად და კოხტად აფრინდება ხოლმე ჰაერში. ზემოხსენებულ ოთახიდან მოცემულ ნიშნებს ვგებულობდით პროგრამის საშუალებით, რომელშიაც ახსნილი იყო ყველა ნიშანი. აქვე შეამჩნევდით უზარმაზარ გაბერილ გვალ ბუშტს (სფერიკული ბალონია), რომელსაც ჰპერავდნენ.

დადგა დრო ფრენისა. ნიშანი მოგვცეს. გამოვიდა დელაგრანჟი და თავის მონოპლანით (ერთ-პლანიანი მანქანა), შეჯდა ზედ და შეუდგა მართვას. ფირფიტამ (ელისი) ტრიალი დაიწყო დიდის სისწრაფით და ხმაურობით, რითაც ძალას იკრეფდა გასაფრენად. ჰაეროპლანი მუშებს ეჭირათ ხელში და არ უშვებდნენ. აი, ავიატორმა ნიშანი მისცა და მუშებმა გაუშვეს. მონოპლანი ცოტა ხანს მიწაზე გაგორდა თვლებით და შემდეგ კოხტად ჰაერში ავარდა, რასაც მაყურებელთა ტაშის ცემა და აღტაცება მოჰყვა. გაფრინდა მშვენივრად და ორი ვერსის გავლის შემდეგ ისევ ძველ ადგილზე დაეშვა. როცა ამისთანა სურათს ჰხედავ, გაოცებას ეძლევი და, ვინ იცის, რა ფიქრი და აზრი არ გიტრიალებს თავში! ადამიანის გონება არაფერს არ ეპუება და ზღვისა და ხმელეთის დამორჩილების შემდეგ ჰაერიც დაიმორჩილა. ჭეშმარიტად, ადამიანი მეფეა ბუნებისა!

ცოტა ხნის შემდეგ [illegible] დელაგრანჟი, [illegible] პოლანი [illegible] მა სცადა გაფრენა თავის ბიპლანით (ორ-პლანიანი მანქანა), მაგრამ ამ დღეს ბედი არა სწყალობდა. ექვსჯერ სცადა აფრენა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა. პოლანი საზოგადოდ, კარგად ჰფრენს, მაგრამ ამ დღეს იმის აპარატს რაღაც გაუფუჭდა. პოლანის შემდეგ გაფრინდა სომმერი ბი-პლანითვე. მეტად ლამაზად ისრიალა ჰაერში 19 წამის განმავლობაში, გაიარა დაახლოვებით 17 ვერსი დადაეშვა.

კვლავ დელაგრანჟი გაფრინდა და 9 წამში $8^1/_2$ ვერსი გაიარა.

გვაჩვენეს აგრეთვე სფერიკულ ბალონის ფრენაც. ქვეშ ბალონში თოკი მოაბეს, რომელიც მუშებს ეჭირათ, და ისე გაუშვეს ჰაერში თავის მგზავრით, რომელიც დიდ ყუთში იჯდა და რაც უნდოდა, ანიშნებდა მუშებს. კარგა ხანს იყო ჰაერში და შემდეგ ძირს დაუშვეს. ეს გაიმეორეს ორჯელ და 12 სექტემბრის დღესასწაულიც ამით გათავდა. ერთი კვირა კიდევ უნდა ყოფილიყო გაჯიბრება, მაგრამ მე ველარ დავრჩი.

ამ გაჯიბრებაში შემდეგი ავიატორები იღებდნენ მონაწილეობას:

პოლანი—ვუაზენის სისტემის ბიპლანით (ორ-პლანი).

სომმერი—ფორმანის ბიპლანით.

დელაგრანჟი—ბლერიოს მონოპლანით (ერთ-პლანი).

ლებლონი—ვუაზენის ბიპლანით.

დრუე—საკუთარ სისტემის ბიპლანით.

სპოონაარი—საკუთარ ორნითოპტერით.

კოოდა—საკუთარ ბიპლანით.

იყო აგრეთვე ადგილობრივ ჰერცოგის ვოის სამხედრო დირიჟაბლი „ლიზონდიაკ"-ი, სფერიკული ბალონი „ლემალლე" (900 კუბიკური მეტრია და აჰყავს 5 კაცი) და სამხედრო დირიჟაბლი „ბელგია".

ზემოთ ჩამოთვლილებში ოთხი პირველი ავიატორი ფრანგია, ხოლო დანარჩენნი ბელგიელი. დრუეს და კოოდას საკუთარი, ორიგინალურ სისტემის ბიპლანები აქვთ, ბელგიის ქარხანაში დამზადებული, და ბელგიელნი სიხარულით მოელოდნენ მათ გაფრენას. მოელოდნენ აგრეთვე ფრანგს სანტოს-დიუმონს თავის მონოპლან „დემუაზელით".

ჯერ-ჯერობით ბელგიის გაჯიბრებაში სომმერმა აიღო სისწრაფის და სივრცის პრიზები, ხოლო დელაგრანჟმა—დროისა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია ელემენტარული ახსნა-განმარტება ჰაერში მფრინავ მანქანებისა, რადგან ქართველ მკითხველთათვის ეს სრულიად ახალი მოვლენაა. ხშირად რუსული და ქართული გაზეთები არც სწორედ სწერენ ხოლმე. ბევრჯელ თავში ჰაეროპლანი სწერია. რომ წაიკითხავ, გაიგებ რომ დირიჟაბლზე ყოფილა ლაპარაკი და სხვა ამისთანა შეცდომა ხშირია ხოლმე.

ჰაერში მფრინავი მანქანები განიყოფებიან ორ უმთავრეს ტოტად: ჰაეროსტატებად და ჰაეროპლანებად. ამ ორ მანქანაში პრინციპიალური განსხვავებაა. პირველი ძველია და მოქმედებს გაზით, მეორე უგაზოდ, მექანიკურად მოძრაობს. გარეგნულად პირველი წარმოადგენს სხვა და სხვა ფორმის ბუშტს, რომელიც გაბერილია ინდუსტრიალურად მომზადებულ წყალმბადით ან გასანათებელ გაზით; მეორე კი პლანებით (სიპრტყით) არის შემოსილი. პირველი შემოსილია ორმაგ აბრეშუმით, რომელსაც საგანგებოდ ამზადებენ და რომელსაც შიგნით და გარედ გადაკრული აქვს საგანგებო რეზინი, რომ გაზი არ გაატაროს. მისი სიავკარგე ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უშვებს გაზს მისი კანი. ზემოხსენებულ ორ გაზში უპირატესობას გასანათებელ გაზს აძლევენ, რადგან იგი წყალმბადზე უფრო მსუბუქია: კუბიკური მეტრი იტევს ჩვეულებრივ გაზს 650—800 გრამამდე, ხოლო წყალმბადს—1100—1170 გრამამდე.

*) ავიატორი ჰაერში მფრინავია, ქალაქი სპა ბელგიაშია.

როგორც ჰხედავთ, ჰაეროპლანსა და ჰაეროსტატს შორის დიდი განსხვავებაა როგორც მოძრაობის საშუალებით, ისე გარეგნობით.

ჰაეროსტატი თავის-თავად კიდევ განიყოფება ორ ნაწილად: ერთია სფერიული ბალონი (ბურთი), მეორე—ბალონი დირიჟაბლი. ამათ შორის უკვე იმდენი განსხვავება აღარ არის. სფერიული ბალონი, როგორც სიტყვა გვიჩვენებს, ბურთივით რგვალია, გაბერილია ზემოხსენებულ გაზით, ირგვლივ შემოტყმული აქვს თოკის ბადე და ქვემოდ აბია დიდი ყუთი, რომელშიაც ზის ხოლმე მგზავრი. მას არაფერი აპარატი არა აქვს, რომ ადამიანს შეეძლოს თავის ნებაზე წაყვან-წამოყვანა: ჰაერის აჩაზარად არის ხოლმე მიტოვებული, ადის 9-11 ვერსამდე და როცა საჭიროა დედამიწაზე ჩამოსვლა, მმართველი უშვებს ბურთიდან ნელ-ნელა გაზს და ასე ეშვება ძირს. სხვა საშუალება არა აქვს.

სფერიული ბალონი არის პირველი, რომელიც ადამიანმა მოიგონა ჰაერის დასამორჩილებლად. იგი იხმარებოდა და იხმარება უმთავრესად ჰაერის შესასწავლად. ადამიანმა სფერიულ ბალონით დაიწყო და მივიდა ჰაეროპლანამდე, რომლიდანაც, უეჭველია, ჰაერის გემებამდე მივა. ბალონი დირიჟაბლი იმით განსხვავდება სფერიულ ბალონისაგან რომ აპარატი აქვს, რომლითაც კაცს საშუალება ეძლევა თავის ნებაზე ატაროს იგი. საერთოდ დირიჟაბლი ძალიან მოხერხებულია და ფორმითაც სხვანაირია: სიგარის ან მოგრძო ნესვის ფორმა აქვს. ელისებიცა (ფირფიტა) აქვს, რომელიც ჰაერს ამუშავებს. ბალონების სიდიდე და ფასი შემდეგია: სფერიული ბალონი არის 400-4000 კუბიკური მეტრი და ღირს 1,300—6,000 ფრანკამდე, ხოლო ბალონი დირიჟაბილი არის არა ნაკლებ 1,200 კუბიკურ მეტრისა, ღირს 30,000—1,070,000 ფრანკამდე. ერთ გაფრენაზე გადის 500—600 ვერსს, მაღლა ადის 1,500 მეტრზე და უკანასკნელ საათში გადის არა ნაკლებ 45 ვერსისა. დასახასიათებლად მოვიყვნ რამდენსამე მაგალითს: ბალონი დირიჟაბული „ზოდიაკ"-ი (ბელგიისა) საათში გადის 46 ვერსს, კოლონელ რენარისა (ფრანგია)—45 ვერსს; ბოლონი დირაჟაბლი „ბელგია" შეიცავს 2,700 კუბ. მეტრს და ღირს 200,000 ფრანკად. სამხედრო დირიჟაბლი „ცეპელინი" შეიცავს 11,000—15,000 კუბ. მეტრს და ღირს 1,050,000 ფრანკად. დირიჟაბლის უმთავრესი დანიშნულება ომში ხმარებაა, თუმცა სამგზავროთაც მშვენიერია.

სფერიული ბალონი და ბალონი დირიჟაბლი კიდევ განიყოფებიან: პირველი ორად, ხოლო მეორე—სამად, მაგრამ ამათზე აღარ გვექნება ლაპარაკი. მოვიხსენიებთ მხოლოდ, რომ ფრანგებისა და გერმანელების ბალონ-დირიჟაბლები ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პირველი ტიპის დირიჟაბლები მოგრძო ნესვს მსგავსია, ხოლო მეორისა—სიგარის მსგავსი. ამით ვათავებთ ჰაეროსტატებზე.

ჰაეროპლანებიც ასევე განაწილდებიან:

1. ჰორნითოპტერი (მისი ფრენა ფრინველთა ფრენის მექანიკური მიბაძვაა).

2. ჰელიკოპტერი (ჰაერში იკავებს თავს ელისის ტრიალის შემწეობით) და

3. ჰაეროპლანი, რომლის დამახასიათებელია უმოძრავო პლანები. თვით ჰაეროპლანები ერთმანეთისაგან განირჩევიან იმისდა მიხედვით, თუ თვითეული მათგანი რამდენი პლანიანია: მონოპლანი (ერთ-პლანიანი), ბიპლანი (ორ-პლანიან) და მრავალპლანიანი. უკანასკნელთა შორის არსებითი განსხვავება არ არის.

ყველაზე მეტი ყურადღება ახლა მათ განვითარებაზეა მიპყრობილი და ბევრნაირ იმედსაც ამყარებენ. ჰაეროპლანები შემდეგ თვისებათა მატარებელნი არიან: ერთის გაფრენით ჰაეროპლანს შეუძლიან 185 ვერსამდე გაიაროს. საათში დაახლოვებით 70-90 ვერსს გადის. იწონის 150-400 გრამამდე და ღირს 5,000—20,000 ფრანკამდე. გადატანაც მეტად ადვილია, რადგან შეგიძლიანთ დაშალოთ და ისე გაჰგზავნოთ სადაც გინდათ. ეხლა აიღეთ ჰაეროპლანის სიმსუბუქე, სიმარდე, სიადვილე გადაზიდვისა და, რაც უფრო საყურადღებოა, სიიაფე, და ადვილად დაინახავთ იმის უპირატესობას დირიჟაბლებთან შედარებით.

იმედოვნებენ, რომ ჰაეროპლანების ფასი მალე დაიწევს და ავტომობილივით გახდება.

ჰაეროპლანის წყალობით პრინციპიალურად გამორკვეულია ჰაერის დამორჩილების საიდუმლოება. დარჩა მისი დეტალების განვითარება და ცხოვრებაში გატარება.

დასასრულ, არ შემიძლიან ხაზი არ გაუსვა იმ მოვლენას, რომ ამ ჰაეროპლანების განვითარებაში და საერთოდ ჰაერის დამორჩილებაში ფრანგებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. მეორე ადგილი ამ საქმეში ამერიკელებს უჭირავთ. ფრანგებმა ამ მოკლე ხანში დაჰკარგეს რამდენიმე მუშაკი: ლეფევრი და კაპიტანი ფერბერი. გუშინ-წინაც საშინელი უბედურება დაატყდათ ფრანგებს თავს: სამხედრო დირიჟაბლი „რეპუბლიკი" დაეღუპათ და ოთხი ადამიანი გამოესალმა წუთი-სოფელს. „რეპუბლიკი" ძალიან კარგი სამხედრო დირიჟაბლი იყო. ძვირადაც დაუჯდათ ფრანგებს. თვით გერმანელები ამბობენ, რომ ფრანგებს ამ დირიჟაბლით ზარბაზნების ატანა შეეძლოთ ჰაერში.

**დ. ჩიქოვანი.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ზ. ა. ვატაცი.** უკვე ვწერდით, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის მიცკევიჩის მაგიერ სამოქალაქო ნაწილის გამგედ დაინიშნა სენატორი ემანუილ ალექსანდრეს ძე ვატაცი. სენატორი ვატაცი იურიდიულ სასწავლებლის გათავების შემდეგ (1877 წელს) დაინიშნა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის მდივნად, მაგრამ მალე თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში გადავიდა. 1881 წლამდის ვატაცი მსახურებდა საგლეხო დაწესებულებებში, 1891 წელს პლოცკის ვიცე-გუბერნატორად დაინიშნა. შემდეგ დინიშნეს სუვალკის გუბერნატორად, 1908 წელს კოვნოს გუბერნატორად, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის სვიატოპოლკ მირსკის დროს—ხარკოვის გუბერნატორად, მერე სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორად და ბოლოს, 1905 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

**მატინოვის გვამის მოსვენება.** დღეს, 27 სექტემბერს, ბათუმის მხრიდან ტფილისში მოასვენებენ ტფ. ქალაქის თავად ნამყოფის ალექსანდრე სტეფანის ძე მატინოვის ცხედარს რკინის გზის სადგურზე. იქ შეიკრიბებიან ქალაქის თავი, გამგეობის წევრნი, ხმოსნები და სხვანი. პროცესია აქედან გაემართება ვანქის ტაძარში, სადაც გადაიხდიან წირვასა და პანაშვიდს და მერე გვამს იქვე ეკკლესიის გალავანში დაკრძალავენ.

**ანდერძი.** 22 სექტემბერს ტფილისში გარდაიცვალა ვაჭარი კარაპეტ კონის ძე ვართანოვი, რომელმაც თითქმის 75.000 მანეთი შესწირა სხვა და სხვა საქველ-მოქმედო საქმეთ. განსვენებული ტფილისელი მოქალაქე იყო. აქვე დაბადებულს და აღზრდილს, 17 წლისა ყოფილა, რომ ვაჭრობა დაუწყია. მას აქეთ ვაჭრობისთვის თავი არ გაუნებებია. შარშან ვიღაცეებმა მისი დატყვევება განიზრახეს ფულის დასატყუებლად. განსვენებული ცნობილი იყო ვაჭრებში. დარჩა ორი ვაჟი. მთელი შეწირული თანხა ასეა განაწილებული: 20.000 მანეთი სომეხთა კათალიკოსის განკარგულებაში—ღარიბ ეკლესიებისა, სკოლებისა და მოწაფეთათვის; 20,000 მანეთი—ტფ. სომეხთა ეპარქიის უფროსის განკარგულებაში ტფილისის ღარიბ მღვდელთათვის; 12.000 მანეთი—ნორაშენის ეკლესიისათვის. ამ ფულით ეკლესიამ უნდა შეიძინოს უძრავი ქონება, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ნორაშენის სამღვდელოებასა და სკოლას. უნდა დაარსდეს სტიპენდიები განსვენებულის სახელობაზე: ვაჟთა 1-ლ გიმნაზიაში, სტიპენდია, შეწირულია ამისთვის 1500 მან., ქალთა 1-ლ გიმნაზიაში—1500 მან., რეალურ სასწავლებელში—1000 მ., ტფ. ქართულ თავ.-აზ. გიმნაზიაში—1000 მან., საკომერციო სასწავლებელში—500 მან., ტფ. საქველმოქმედო საზოგადოებას—400 მ., სურფ-კარაპეტის სკოლასა და ეკლესიას—500 მან., ობლების სასარგებლოდ—250 მან., ბრმებისათვის—250 მ., მღვდლების ობლებისათვის 200 მ., გაიანის სკოლას—200 მ., უფასო სასადილოს—200 მ., სპარსელების სკოლას—100 მ., სახელოსნო სკოლას—200 მ., ებრაელების სკოლას—100 მ., შამხარის სკოლას—100 მან., ჩუღურეთის სკოლას—100 მ., ეჩმიაძინის სკოლას—100 მან., სურფ-მინასის სკოლას—100 მან., სანაინის სკოლას—200 მან., ღარიბებისათვის დასარიგებლად ეპარქიის უფროსს—300 მან., ქალთა საქველ მოქმედო საზოგადოებას 100 მან., საზოგადოებას „მეგუს"—100 მან., თავის ნოქრებს—1500 მან., წმ. სტეფანეს დედათა მონასტერს—100 მან., ტფ. ნერსესიან სემინარიას—500 მან., და ჯიგრაშენის სკოლას—100 მან.

**სავალდებულო დადგენილება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, გაიხსნა პუშკინის ბაღი (სკვერი). სავალდებულო დადგენილებით, ბაღი ღია უნდა იყოს ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 9 საათამდე. გაიღება ბაღის მხოლოდ ერთი კარები, შტაბის ქუჩის მხრიდან. ბაღში შესვლა შეუძლიანთ ორივე სქესის ბავშვებს. 14 წლამდის. ამასთან თვითეულ ბავშვთან შესვლა შეუძლიან ერთ მოზრდილსაც.

**ახალი ალმანახი.** დღეს გამოვა ახალი ალმანახი „ჩვენი ერი" შემდეგის შინაარსით: „სამშობლო ენას პატრონობა უნდა."—„ლტოლვა ირაკლისი", ლექსი შ. ამირეჯიბისა.—„ერობა", გ. გვაზავასი.—„დათვი", ზღაპარი ყაჟა-ფშაველასი.—„ჩემს სატრფოს", ლექსი ი. გრიშაშვილისა.—„ერის უფლება", Bâton-ისა. „ჩვენი თეატრი". „ქართულ სამართლის ისტორია", ი. ჯავახიშვილისა.

**ქალაქის ექიმების კრება.** ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭომ უკანასკნელ კრებაზე განიხილა საკითხი ამიერ-კავკასიის ქალაქის თვით-მმართველობის ექიმთა კრების შესახებ. სასანიტარო-საექიმო საბჭომ დაადგინა, მოიწვიოს ეს კრება. კრება ტფილისში უნდა მოხდეს. კრება განიხილავს ქალაქის სასანიტარო და საექიმო საკითხებს. საბჭომ უკვე აირჩია კრების მოსაწყობი ბიურო, რომელშიაც შედიან: ექიმები გ. ნ. სტეფანოვი, გედევანი, ტატევოსიანცი, სულაბერიძე, ქიმიკოსი გ. გ. ალიბეგოვი და ბეითალი ლანგი.

**ექიმ ტრიანდაფილიდისის მოკვლის საქმე.** „ბატუმ. იზვეს"-ს სიტყვით, ბათუმში ხმა გავრცელებულა, რომ ამ დღეებში გაარჩევენ ექიმ ტრიანდაფილიდისსის მოკვლის საქმესაო. ამ საქმის გამო სამართალში მიცემულნი არიან: რამიშვილი, ჟღენტი, ჰინჭარაძე, ცინცაძე, დოლიძე, ხასან-რაჯაბ-ოღლი, ბაიადირ-სელი-ოღლი, მამედ-კოტილ-ოღლი, ალი როჯებ-ოღლი, იუნუს-მორგალ-ოღლი, ტანდიშვილი და რევია.

**სეირნობა.** დღეს „ინტერნაციონალის" ბაღში (მიხეილის პროსპექტი) გაიმართება სეირნობა საქველმოქმედო აზრით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. იმღერებს ქართული ხორო გრ. ჩარკვიანის ლოტბარობით. 12 საათიდან ნაღუადღევის 4 საათამდე სეირნობა ბავშვებისათვის სხვა და სხვა სათამაშოებით. საღამოს 7 საათზე დაიწყება სეირნობა დიდებისთვის.

**სომეხთა საეკლესიო კრება.** „ტფ. ლისტ."-ს სიტყვით, სომეხთა კათალიკოსს განზრახული ჰქონია ამ მოკლე ხანში მოიწვიოს სრულიად სომეხთა საეკლესიო კრება. კრება შემდეგ საკითხებს განიხილავს: 1. ეჩმიაძინის მონასტრის ბერების მოქმედება და შედგენილობა; 2. ეჩმიაძინის სინოდის მოქმედება და შედგენილობა; 3. ქორ-ეპისკოპოსების, ბლაღოჩინების, საეკლესიო მოხელეთა და კონსისტორიათა მოქმედება და შედგენილობა; 4. მონასტრების წინამძღვართა მოქმედება; 5. მონასტრებიც და საეკლესიო სკოლების მამულების მდგომარეობა: 6. საგანმანათლებლო საქმის ნივთიერი მდგომარეობა; 7 საეკლესიო სკოლების მდგომარეობა 1905 წლიდან; 8. მუზეუმისა და ძველი ნაშთების მდგომარეობა და სხვა.

**თავ. გ. ამილახვარი და გლეხები.** „მომავალი" სწერს: „როგორც ამას წინად ვწერდით, თავ. გ. ამილახვარი, გუბერნატორის დადგენილების თანახმად, სოფ. დეისის და ჩილის მცხოვრებთ 58 ათას მანეთს ახდევინებდა. სოფლელებმა ამას წინად მიმართეს დეპ. გეგეჭკორს დახმარებისათვის. გეგეჭკორმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე. გუშინ დეპ. გეგეჭკორი და ორივე სოფლის წარმომადგენელნი შუამდგომლობის პასუხის გასაგებად ტფილისში ამოვიდნენ და ვინც ჯერ არს, ინახულეს. დეპ. გეგეჭკორის შუამდგომლობა ნამესტნიკს დაუკმაყოფილებია, გუბერნატორის დადგენილება გაუუქმებია და სოფლელები 58,000 მ. გადასახადისაგან გაუნთავისუფლებია".

**სესიის დაბრუნება.** ტფ. ოლქის სასამართლოს სესსიამ უკვე გაათავა გორში საქმეების გარჩევა და 25 ენკენისთვეს ტფილისში დაბრუნდა.

**პანაშვიდი.** დღეს, შუადღის 1 საათზე, ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის სადგომში (საპიორის ქ., 18) გადახდილი იქნება პანაშვიდი გამგეობის თავმჯდომარის იოსებ ალექსანდრეს ძის სულხანიშვილის სულის მოსახსენებლად.

**გამართლება.** 23 ენკენისთვეს გორში ტფ. ოლქის სასამართლოს სესსიამ გაარჩია საქმე ოქრო დავითაშვილისა და მის დედისა, რომელთაც სოფ. ცხინვალში კრიხელის მოკვლა ჰბრალდებოდათ. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი. სასამართლომ ორივე გაამართლა.

**მაჭავარიანის საქმე.** 24 ენკენისთვეს გორში ტფ. ოლქის სასამართლოს სესსიამ გაარჩია საქმე დავით ქოტოლაშვილისა, ივანე, სანინო და პავლე კუდუხაშვილების, ივანე გაბაზაშვილისა და ვასილ დავიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ 5 მკათათვეს 1907 წ. სოფელ ფლავში მიხელ მაჭავარიანის სახლზე შეიარაღებული დავდასხმა. ბრალდებულთ ვექილი რუდკოვსკი იცავდა. სასამართლომ ყველანი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა, მაგრამ პროკურორი საქმის პალატაში განსაჩივრებას აპირებს.

**დეფიციტი.** როგორც აღვნიშნეთ, ტფ. ქალაქის თვით-მმართველობა მომავალ წელს მოელის დეფიციტს 300,000 მან. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე ხანგრძლივი თათბირი იქონია იმაზე, თუ რა წყაროდან შეიძლება ამოდენა დეფიციტის შევსება. ლაპარაკი იყო ზოგიერთ დაწესებულების დახურვაზე. გამგეობამ ბოლოს შეუძლებლად სცნო ამ გზით დეფიციტის შევსება და დაადგინა, უბალანსოდ წარუდგინოს საბჭოს აღრიცხვა იმ მოსაზრებით, ეგებ თვით საბჭომ გამონახოს რაიმე სახსარი.

22 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, სოფ. ზერტში (გორის მაზრა) მეწისქვილეს სანდრო რევაზიშვილს თავის წისქვილში ოთხი შეიარაღებული უცნობი დასცემია. მოუთხოვიათ 120 მანათი ფული. როდესაც რევაზიშვილს უარი უთქვამს, უცნობებს ძალზე უცემიათ და მიმალულან.

გარეჯის ხევის გზაში 25 სექტემბერს მეეზოვეს შეუნიშნავს 2 უცნობი კაცი, რომელნიც მიწას თხრიდნენ და რაღაცას ეძებდნენ თუ ფლავდნენ. მეეზოვე ილია მამულაშვილი უცნობებს გამოელაპარაკა. პასუხად უცნობებმა რევოლვერი ესროლეს მეეზოვეს და იქვე მოჰკლეს, ეჭვით დააპატიმრეს კოსტა გაბილაია.

25 სექტემბერს მოხდა საზოგადო კრება ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულებისა. სხვათა შორის კრებამ განიხილა მოხსენება კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა, თუ რა საშუალებით გადაახდევინონ მოქალაქეთ დარჩენილი და მიმდინარე გადასახადები. რადგან კომისიამ ვერავითარი საშუალება კრებას უჩვენა, ამიტომ ხელახალი კომისია იქმნა არჩეული. კომისიაში შედიან სტ. დანდუროვი, მურადოვი, საათსაზოვი, დასკუტოვი, აპრიამოვი, მარქაროვი, აშუღოვი, გაიდუკოვი და ახნაზაროვი.

როგორც მკითხველებმა იციან, განსვენებულმა გ. ი. მირზოევმა ქალაქ ტფილისს უანდერძა მთელი მოძრავი ქონება. ამ თანხით გადაწყვეტილია დაარსდეს 90 სტიპენდია. მოანდერძეს, სხვათა შორის, დარჩა მრავალი ძვირფასი ნივთი, სახლის ავეჯეულობა, ქალისა და კაცის სამკაული და სხვ. ამ ბოლო ხანებში მირზოევის მემკვიდრეებსა და ქალაქის გამგეობის შორის აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ნივთები ქალაქს გადაეცეს. სადავო საკითხის გამოსარკვევად 25 სექტემბერს მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის სათენანსო და იურიდიულ კომისიისა. სხდომას დაესწრო მოანდერძეს მემკვიდრის ვექილი, რომელმაც განაცხადა, რომ ღირებულება აღნიშნულ ნივთებისა 100,000 მანეთს აღემატება და არა 7000 მანეთისაა, როგორც თქვენა ფიქრობთო. შეერთებულმა სხდომამ ვერაფერი დაადგინა და კიდევ მოხდება სხდომა.

## მოწერილი ამბავი

**ხონი.** ხონის მედილიჟნე-მეეტლეთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. თუმცა არსებობს განსაზღვრული ნიხრი ეტლების და დელიჟნებისთვის, მაგრამ ამ ნიხრს ისინი ყურადღებას არ აქცევენ და თავიანთ ნებაზე მოქმედებენ. ამ ნიხრში სწერია, რომ ხონში ეტლის მისვლა-მოსვლა 30 კაპ. ღირსო. მეეტლენი კი ამას არ დაგიდევენ და ხშირად 60—70 კაპიკსაც ახდევინებენ. გარდა ამისა, მეეტლეები მეტის-მეტად დაურიდებელი ხალხია. თუ ვინმემ ნიხრი მოაგონათ და ნიხრის მიხედვით მისცა ფული, იცოცხლეთ ამათ გამოლანძღვთ მეტის-მეტად უშვერი სიტყვებით. არა ნაკლებ თავგასულად მოქმედებენ მედილიჟნენიც. ისინიც დროს ურჩევენ ხალხს. აი, მაგალითიც: ენკენისთვის პირველ რიცხვებში, როდესაც მოწაფეები სასწავლებლისაკენ მიემგზავრებიან და ისე ხალხი კი სამსახურში მიეშურება, მედილიჟნენი თითო მანეთს თხოულობენ. ასევე იქცევიან საზობაო-სამლოცველო დღესასწაულებში. ხოლო დღეს-კი 60 კაპეიკია. ერთის სიტყვით, მათთვის განსაზღვრული ფასი ეტლებ-დილიჟნის მიმოსვლისა არ არსებობს და როგორც ესურვებათ, ისე ექცევიან ხალხს. თუ ვინმე უცხო მოვიდა ხონში და სადმე ეტლით წავიდა, ერთი სამად მეტს იღებენ იმისაგან.

ასევეა პურის და ხორცის ნიხრის საქმეც. პურს აქ უმთავრესად მესამე ხარისხისას აცხობენ. ჭვიდის ფუნტს ზოგი 11 კაპ. და ზოგიც 12 კაპ. თვითონ ნიხრიც ადამის დროისაა. დროა ყურადღება მიექცეს ყველა ამას.

როგორც გადმოგცეს, 18 ენკენისთვეს მათხოჯში გაუტეხავთ სამხანაგო დუქანი. გაუტაციათ დიდძალი საქონელი. მპარველები მიმალულან. როგორც მკითხველს ეცოდინება, ეს დუქანი დიდი ხანია [illegible] საზოგადოებისა, [illegible] წესებულება [illegible] გადაც მიდიოდა. **გ. ფახუნჯი.**

**ბათუმი.** ძველად საქართველო ეკლესიებით იყო ნაქები. ყოველ ფეხის გადადგმაზე ეკლესიის ნანგრევები შეგხვდება. ეხლა სულ სხვაა. ბათუმში თითქმის ნახევარი მცხოვრები ქართველია. რუსებს აქვთ თავიანთი ტაძარი, სადაც თითქმის სულ სამხედრო ხალხი იყრის თავს. ქართველ კათოლიკებსაც აქვთ მშვენიერი ეკლესია. დარჩენილნი ვართ უეკლესიოდ მარტო ჩვენ, ქართველი მართლმადიდებლები. 15-20 წელიწადი იქნება, რაც შიგ შუა ქალაქში დიდი ადგილი შეიძინეს აქაურმა ქართველებმა და ჩაჰყარეს მაშინ ეკლესიის საძირკველი; ცოტაც წამოაშენეს, მაგრამ უფულობის გამო შენება შეჩერდა დღემდე. დღეს-კი, სხვა და სხვა მიზეზის გამო, კინაღამ ხელიდან გამოგვეცლა ეს საკუთარი ადგილი. დაფაცურდნენ ეკლესიის ამშენებელ კომიტეტის წევრნი, შეაგროვეს ადგილობრივ ქართველთა შორის ფული და ბეტონის გალავანი შემოავლეს. ეკლესიაც შეამაღლეს. ეკლესია კარგა ფართოა, კარგ გეგმაზეა და კუთხეებში მშვენიერი წითელი ქვითაა ნაშენი. ეს კოხტა ტაძარი დღეს კვლავ შეჩერდა. ამისი მიზეზი უფულობაა და ვინ იცის როდის ეღირსება ეს ეკლესია დამთავრებას.

**ტრ. ინასარიძე.**

## ავლაბარი

ეს ისეთი კუთხეა ტფილისისა, რომელზედაც წერა და გამჟღავნება მუდამ გაამართლებს ბრძნულ ანდაზას: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. გარწმუნებთ ავლაბრისთანა გონება-დახშულობას ჩვენ უბადრუკ სოფლებშიაც ვერ შეჰხვდებით. ამიტომაც ავლაბრელი სიბრიყვე ლამის ჩვენი ქვეყნის ლათაიად გახდეს. კუმისსა და ოქროყანას რომ ვინმემ სიბრიყვე ჩაიდინოს, „ჰეი ავლაბაროვო"! დაიძახებენ სხვები.

მაგრამ განა მარტო ავლაბრის მკვიდრია ამაში დამნაშავე?! ღმერთმა ჰკითხოს ნამდვილ დამნაშავეს... 42 ათასი მცხოვრები და არც ერთი ქალთა სკოლა! რა დამნაშავეა აქაური ქალი, რომელსაც ქცევა და ხმა სუფრაჟისტისა მოსდევს, მაგრამ ჰორებს კი ემსახურება, ხელთუყრელობს, ქუჩაში ზის და გაუთავებელ ყატყაშია. ქუჩასა და განაპირა ადგილებში მრავალი ახალგაზდობა დილით საღამომდე მისცემია ყომარს, „ცხრას" და „რეშკას" თამაშს. ან კი რა ჰქმნან? სახალხო უნივერსიტეტს ეწვიონ ლექციების მოსასმენად? თეატრსა და მუსიკაში გაერთონ? წიგნთ-საცავებში ჩაუსხდნენ წიგნთა კითხვას? სამუშაო არა აქვთ—უბრალო მუშაობის ასპარეზი. ამიტომაც ვინც ყომარს აწევს თავს, იგი ეშხით ეძლევა ნუნუაში თავის ჩაღრჩობას. კვირა დღე ავლაბარში უფლისა კი არა, ბახუსის დღეა, იმ ღოთობის ღმერთის დღე, რომელსაც ბერძნები ეშხით გალექებულს აქანდაკებდნენ...

საცოდავია ის ხალხი, რომელსაც კვირადღეს შესვენების ზომა და მადლი დაუკარგნია. ავლაბრის მშრომელი კვირა დღეს არკი ისვენებს, იგი ჯან-ღონეს თანდათანობით იუძლურებს... გონებას და მის გამჭრიახობას იბნელებს.

იყო დრო, როდესაც ეკლესიაში დადიოდნენ და იქ გალობით, მხატრობით, საზოგადოების ნახვით ირთობდნენ თავს და თან სახარების სიტყვებს ისმენდნენ. დღეს ავლაბრელი ერთის ეშხით შედის დუქანშიაც და ეკლესიაშიაც და ავიწყდება, რომ არის მორწმუნე ხალხი, რომლის გრძნობის შელახვაც არ ეპატიება შეგნებულ კაცს.

დიახ, საცოდავია ასე დაქვეითებული საზოგადოება. მას დახმარება და შველა სჭირია, სწავლა, სახალხო ლექციები, დიდებისთვის სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრი... მაგრამ ავლაბრისთვის სადაა ყველა ეს? გული გეთუთქება, როდესაც ჰხედავ ავლაბრელ დედას, სკოლის წლოვანობის ქალ-ვაჟებით შემოზღუდულს, მოსიარულეს ერთი სამრევლო სკოლიდან მეორეში, რომ მიაღებინოს შვილები, მაგრამ ყველგან ადგილი დაჭერილი ჰხვდება .. ან რა? ხუთი სამრევლო და სამოქალაქო დაწყებითი სკოლაა 42 ათას ადამიანზე?!.

წერა-კითხვის საზოგადოებამ ერთი სამკითხველო ავლაბარშიაც მოაწყო... მაგრამ მისი ავლადიდება ორ კუდელს აეკიდება. შევა ცოდნა-მოწ-

ყურებული მოზარდი, ერთ თვეს გადიკითხავს საკითხ მასალას და მერე რჩება პირ-დაღებული... გაზეთებიც კი ისე მცირეა, რომ შეგნებული მუშა დღიურ საკითხს ვერ ეცნობა, რაღა ითქმის ინტელიგენციაზე?! თვით ეს „ინტელიგენცია" არსადა სჩანს ავლაბარში, თუმცა განათლებულ ტფილისის ნაწილია... დაარსებიდან ეს სამკითხველო ქალაქის თვით-მმართველობას სუფსიდიასა სთხოვს და ის ქალაქის მმართველობა, რომლის სასარგებლოდაც ავლაბარს აუარებელი ფული შეაქვს, ყურს არ იბერტყავს...

კიდევ კარგი, რომ ავლაბარში ორიოდე ოჯახია, რომელნიც თავიანთ წვლილს არ იშურებენ სწავლა-განათლებისთვის. ესენი უძღვებიან მარინის სამრევლოს სკოლას, სადაც ყოველ წელს 120 მოზარდი ქალი თუ ვაჟი იღებს დაწყობით სწავლას. სვ. ილ. ფორაქაშვილი ამ დღეებში შეჰპირდა თვეში თუმანს ხელ-საქმის მასწავლებელს, რათა მარინეს სკოლაში ხელსაქმე ისწავლონ ქალებმა...

მაგრამ ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. საჭიროა ძალუმი, იერიშის მიტანა სიბნელეზე...

**ზ. გ.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართულ წარმოდგენების სეზონის დაწყება ტფილისში.** დღეს, 27 სექტემბერს, ქართულ თეატრში გაიხსნება სეზონი ქართულ წარმოდგენებისა. წარმოადგენენ ცნობილ ისტორიულ პიესას, დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულს, „სამშობლოს". ქეთევანის როლს შესრულებს [illegible]

**ქართული თეატრი.** [illegible]

# ოსმალეთის ამბები

**ახალგაზრდა ოსმალთა კონგრესის დადგენილება.**

[illegible]

**მაჰმუდ შევკეთ-ფაშის ნათქვამი.**

[illegible]

**აჯანყება არაბეთში.**

[illegible]

# რუსეთი

[illegible]

ქის ყრას შესდგომოდნენ, ასეც მოიქცნენ. ამას გარდა კენჭის ყრის დროს პოლონელებმა დემონსტრატიულად უარი განაცხადეს ბიულეტენებზე რუსულ სიტყვების როგორც ეს ადმინისტრაციამ მოითხოვა „არა", ან „ჰოს" დაწერაზე. მათ ბიულეტენებზე გარემოების მიხედვით გამოკლების და მიმატების ნიშნები დასვეს.

◆ **კოლიბაბა.** როგორც მკითხველს მოეხსენება ბესარაბიის გუბერნატორმა კამრატის საეროზო უფროს წინადადება მისცა, სამსახურიდან გადიო. „რუს. სლ."-ს სიტყვით კოლიბაბა ნაფიც-ვექილთა წოდებაში შევა. კამრატის მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ კოლიბაბას, რომელმაც მათვის ქალთა გიმნაზია „მოსცელა" წასვლის წინ ნადიმი გაუმართონ და სახსოვრად რაიმე ნივთი მიართვან.

◆ **წრევანდელი მოსავალი.** რუსეთს წრეულს დიდი მოსავალია. პურის ასეთი მოსავალი კარგა ხანია აღარ ყოფილა რუსეთში. გზათა მინისტრმა განსაკუთრებული კომისიაც კი შეადგინა, რომელიც ყურს უგდებს, რომ რკინის გზებზე პურის გადატან-გადმოტანა წესიერად სწარმოებდეს. ამას გარდა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გლეხებს წრეულს სრულიად გადაახდევინოს ის ფული, რომელიც მათ ამ უკანასკნელ წლებში, შიმშილობის გამო დაურიგეს.

◆ **გუბერნატორი.** „რუსკ. სლ." კალუგიდან შემდეგს ატყობინებენ: ქალაქში არსებობს ყრუთა და მუნჯთა მფარველი საზოგადოება. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლებოდა კალუგის გუბერნატორად ნამყოფი ოფროსიმოვი. ეს საზოგადოება თავის თანხის გასაძლიერებლად დრო გამოშვებით მართავდა სეირნობებს ლოტარიებს და სხვა. სხვათა შორის საზოგადოებას სეირნობა გაუმართავს 1907 [illegible]

◆ **სარკოვის უნივერსიტეტის გახსნა.** [illegible]

◆ **„არც ერთი გზით, არც პოლონეთში".** [illegible]

◆ **საკვლელი დახვდა.** [illegible]

# უცხოეთი

[illegible]

**ესპანია და მაროკო.**

[illegible] გამოუცხადეს ესპანიის მთავრობას, ჩვენ საქმეში არ ჩავერევითო.

**რუსეთის გარეშე სესხები**

ფრანგულ ჟურნალ „ლა რევიუ"-ში დაბეჭდილია დიდი წერილი თითონ ჟურნალის რედაქტორის ჟან ფინოსი სათაურად: „საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთის მომავალი სესხი". ავტორი ჯერ მოკლედ იხსენიებს იმ სესხებს, რომლებიც რუსეთმა აიღო საფრანგეთში, და თან მოურიდებლად ამტკიცებს, რომ რუსეთის მთავრობამ ეს ფული მეტად ცუდად მოიხმარაო. საფრანგეთი იმ აზრით აძლევდა ფულს რუსეთს, რომ მას გაეძლიერებინა თავისი ჯარი გერმანიისა და ავსტრიის საზღვრებზე, თავისი ბუნებრივი სიმდიდრე გამოეყენებინა და თავისი ხალხი ეკონომიურად ფეხზე წამოეყენებინა, მაგრამ რუსეთმა საფრანგეთისაგან ნასესხები ფული მარტო თავის ყოველწლიურ დეფიციტების შევსებას მოანდომა. ამის შემდეგ, ფინო ასწერს რუსეთის საფინანსო მეურნეობას და უმატებს, რომ ასეთს პირობებში საფრანგეთი ველარ ასესხებს რუსეთის სრულიად უნიჭო ბიუროკრატიას იმ $1^1/_2$ მილიარდს, რომელსაც მალე მოითხოვს რუსეთის მთავრობა, რადგან ამ ფულსაც რუსეთის მთავრობა ისევ პოლიციის ჯამაგირების მომატებას და მიუდინარე ვალების გადახდას მოახმარებს და ხელად ისევ ახალ სესხის მიცემას მოითხოვსო. თუმცა საქმე ასეა, საფრანგეთი მაინც უარს ვერ ეტყვის რუსეთს, იმიტომ რომ საფრანგეთს სჭირია რუსეთის სამხედრო ძალა და რუსეთის ეკონომიური და ფინანსიური გაკოტრება თითონ საფრანგეთისთვისვე იქნება საზარალო. მაგრამ ფრანგ კაპიტალისტებს დიდი ხანია თავი მოაბეზრა რუსეთის სესხებმა და ამიტომ მათ წასახალისებლად საჭიროა ახალი ხერხი და საშუალება: ინგლისმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს რუსეთის სესხებში. ინგლის-საფრანგეთის გაამხანაგება ამ საქმეში ორთავესთვის სასარგებლო იქნება; ხეირი ექნება თითონ რუსეთსაც, „რომელიც უმდიდრესი ქვეყანა შეიქნება მთელს ქვეყნიერობაზე". ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ რუსეთის მთავრობამ ინგლისელებსა და ფრანგებს დროებით მისცეს სასარგებლო „კონცესიები და გარანტიები". რომლებიც თითონ რუსეთისთვისაც სასარგებლო იქნება.

**ჰაერში ფრენის მსხვერპლთა დასაფლავება.**

ვერსალში დიდებულად დაასაფლავეს ის ოთხი ჰაერში მფრინავი, რომლებიც დაიღუპნენ საფრანგეთის სამხედრო დირიჟაბლის „რეპუბლიკი"-ის ჩამოვარდნის დროს. მთელი ქალაქი შავით იყო შემოსილი გლოვის ნიშნად. დასაფლავებას დაესწრნენ საფრანგეთის პირველი მინისტრი ბრიანი, სამხედრო მინისტრი, ყველა სხვა სამინისტროების წარმომადგენელნი, უცხოელი აფიცრები და სხვანი. ყველას ყურადღება მიიზიდა ოსმალეთის ჯარის გენერალისიმუსმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ, რომელიც ის-ის იყო მოსულიყო პარიზში, და გერმანელმა აფიცერმა, რომელმაც გვირგვინით შეამკო დაღუპულთა კუბოები იმპერატორ ვილჰელმის სახელით.

**გერმანელ ისტორიკოსების კრება.**

ბერლინში გაიხსნა გერმანელ ისტორიკოსთა მეცხრე კრება. წაიკითხეს მოხსენებანი სხვა და სხვა საკითხების შესახებ. ამ კრებაზე საბოლოოდ უნდა გადასწყდეს საკითხი სახელმწიფო მუზეუმის დაარსების შესახებ. ამ მუზეუმში უნდა გროვდებოდეს ყველა გაზეთები, რომლებიც გერმანიაში გამოდიან. მუზეუმს დაარსების აზრი ეკუთვნის პროფესორს შპანს, რომელიც ყოველს კრებაზე ცხარედ ჰხსნიდა ხოლმე ასეთი მუზეუმის დიდს მნიშვნელობას ისტორიისათვის. ასეთ მუზეუმს დიდი ხარჯი უნდა. როგორც გამორკვეული, ამ ჟამად გერმანიაში გამოდის 4.000 დიდი გაზეთი და 6000 პატარა. ამათი აღნუსხვა და დალაგება, მოვლა დიდ ძალს მოსამსახურეებს მოითხოვს, მაშასადამე ხარჯიც დიდი დასჭირდება, მაგრამ დაბრკოლებად ეს კიდევ არ ჩაითვლება. უფრო დიდი დაბრკოლება ის არის, რომ გერმანიაში გაზეთები ეგრედ წოდებულ ფიჭვის ქაღალდზე იბეჭდება (ფიჭვის ხის სიოხისაგან დამზადებულ ქაღალდზე). ეს ქაღალდი დიდ ხანს არა სძლებს და 8—10 წლის შემდეგ იგი მტვრად იქცევა ხოლმე. ამის გამო იბადება საკითხი, რომ სამუზეუმო გაზეთები უკეთეს ქაღალდზე იბეჭდებოდეს ხოლმე. შეეკითხნენ გაზეთების გამომცემელთ. ბევრმა თანხმობა გამოაცხადა, უმთავრესად დიდმა გაზეთებმა. აზრად აქვთ, განსაკუთრებული კანონი გამოაცემინონ, რომ ყველა გაზეთებმა მუზეუმისათვის რამდენიმე ცალი გაზეთისა კარგ ქაღალდზე ბეჭდონ ხოლმე.

# წერილი რედ. მიმართ

„დროების მე-207 ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი მირაბის არჩევნების შესახებ ხონში. ამის საპასუხოდ „დროების" მე-208 ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ ნ. ნიკოლაძის გრძელი წერილი. ჩემს წერილში ბ-ნ ნიკოლაძეს ბევრი შეცდომა უნახავს. იგი ამბობს: „კორესპონდენტი სწერს, ნიკოლაძე გუბერნატორმა დანიშნა თავმჯდომარედაო. ეს შეცდომაა. თავმჯდომარედ თვით წყლის საქმეების რჩევის წევრი ინიშნება. არც ის მითქვამს, ვითომ კრებას დავხურავ და გუბერნატორს შევატყობინებო". ამ სიტყვებში მართალია ის, რომ თავმჯდომარედ რჩევა ნიშნავს ერთ-ერთ თავის წევრს, მაგრამ ის კი მართალი არ არის, ვითომ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს არ ეთქვას —კრებას დავხურავ და გუბერნატორს შევატყობინებო. ესა სთქვა და ისიც დაუმატა, რომ გუბერნატორსვე მოვახსენებ, მირაბად ლორთქიფანიძე იქმნა არჩეულიო. ამას ყველა დამამოწმებ, თუ, რასაკვირველია, საჭირო იქნება. შემდეგ ბ-ნი ნიკოლაძე ამბობს: ყველას კარგად ესმოდა (ალბად, ორატორების სიტყვები) და იცოდა, რა უნდა გადაეწყვიტა და ვინ უნდა აერჩიაო. იმის დასამტკიცებლად, რომ ხალხს არ ესმოდა ნალაპარაკევი, მოვიყვან შემდეგ მაგალითს: თავმჯდომარე შეეკითხა ხალხს—ამ ანგარიშს თქვენ დაამტკიცებთ თუ განსაკუთრებულ კომისიას ამოირჩევთო. ვინც ამ ანგარიშს დაამტკიცებს—ხელი მაღლა ასწიოსო. ხალხმა ასწია ხელი. მერე მეორე წინადადება მისცა ხალხს—ვინც მომხრეა, რომ ანგარიშის დასამტკიცებლად კომისია იქმნას არჩეული, ხელი ასწიოსო. ამაზედაც ხალხმა ხელი ასწია. აშკარაა, ხალხს ვერ შეეგნო რაში იყო საქმე ან კიდევ, რაც ნამდვილად მოხდა, არ ესმოდა, რა წინადადება მიეცა, რას ამბობდა თავმჯდომარე. უკანონობა იყო ხელის აწევით არჩევნების მოხდენა, რადგან კრებას ბევრი გარეშე დაესწრო და ხელის აწევაში იმათაც მიიღეს მონაწილეობა. შეიძლება 2-5 ლორთქიფანიძის წინააღმდეგ არაფერი ჰქონდეს კაცს, მაგრამ ის წესი-კი, რა წესითაც იგი იქმნა არჩეული, მოსაწონი არ არის. ბ-ნი ნიკოლაძე თხოულობდა, ვისაც ეს წესი არ მოგწონთ, წარმოადგინეთ წერილობითი განცხადება და ხუთიოდე კაცმა მოაწერეთ ხელიო. ეს უბრალო ფორმალისტობა იყო. რა საჭირო იყო წერილობითი განცხადება, როდესაც იმ პირებს, რომელნიც უკმაყოფილებას აცხადებდნენ, თვით ხალხი აშკარად ჰხედავდა. ლორთქიფანიძის გარდა დაასახელეს სხვა კანდიდატებიც. თავმჯდომარემ იმათ კენჭი არ უყარა. ვიმეორებთ, ეგები კანდიდატებში ჩვენც უპირატესობა ბ-ნ ლორთქიფანიძისთვის მიგვეცა, მაგრამ განა ეს საბუთს გვაძლევს დავარღვიოთ საარჩევნო წესი და არჩევნებს დაუკარგოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მასა აქვს ხალხისათვის? ბ-ნი ნიკოლაძე ამბობს, [illegible] წესი [illegible] რე, რომ ხალხი არ მოცდენილიყოო. მაგრამ დილით რომ ხალხმა იცადა და კარგა ხანს მოსცდა! ან კიდევ დასვენების დროს რომ თითქმის ორი საათი იცადა ხალხმა სიცხეპაპანაქებაში. ერთმა გლეხმა პროტესტი განუცხადა ბ-ნ ნიკოლაძეს. პასუხად-კი ის მიიღო, რომ ციხეში მიგაბრძანებო...

**გ. ფასკუნჯი.**

—

**(ნიკოლაძის წერილის გამო)**

„დროების" 208 № ნომერში ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წერილია მოთავსებული რედაქციისადმი. წერილი, „დროებისავე" კორესპონდენტის წინააღმდეგ არის მიმართული (იხ. „დროება" 207 №) მართალი უნდა ვსთქვა, კორესპონდენციაში ძალიან მკრთალად არის აღნიშნული ის არა სასურველი მოქმედებანი რომელიც, კრებაზე მოხდა. ბ-ნმა ნიკოლაძემ წინააღმდეგ საზოგადოების სურვილისა, კენჭი მარტო მიხეილ ლორთქიფანიძეს უყარა. ოქმში ჩატანილი კანდიდატები მირაბის—იაკოფ ქუთათელაძე, გიორგი წულუკიძე, გრიგოლ წერეთელი—სულ არ მოიხსენია. შემდეგ, მახსოვს მირაბის ასარჩევ წინანდელ კრებებზე უკენჭო პირთ არ უშვებდა ბ-ნი ნიკოლაძე. „უკანონობა მოხდება, ოქმს არ დაგვიმტკიცებენ, კენჭის არ მქონე პირები კრებიდგან წავიდნენო", ბრძანებდა ხოლმე იგი და თავს შესაფერ განკარგულებას ახდენდა უკენჭოების კრებიდან გასადევნად. 14 ეკენისთვის კრებაზე-კი კენჭიანს და უკენჭოს არა კითხულობდა და განურჩევლად ყველას აძლევდა ნებას კრებაში მონაწილეობისას. განა ახლა-კი არ იყო საჭირო კანონიერების დაცვა? სხვას ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, არჩევნებში ქალებიც-კი იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ესეც არ შეუჰნევია თავმჯდომარეს. შეიძლება, მიხეილ ლორთქიფანიძის არჩევის წინააღმდეგი არც ჩვენ ვიყვნეთ, მაგრამ კრება-კი კანონიერად არ იყო ნაწარმოები.

**ილია ბახტაძეს.**


კირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნაკასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნაკასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაკასარდიანი.**
(წ.—1—181)

**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში
**„ამხ.-გა ლევიტ და მესნიკ"**
შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გვ.—1)

სასახლის ქ., თავად-აზნაურთა სახლში, კერძო საუქციონო ზალაში
**● გაიხსნა ●**
**გამსესხებელი განყოფილება**
მოძრავ ქონების დასაგირავებლად. ოპერაციები ხდება დილის 9-დან შუადღის 12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა. (5—462—3)

**თეატრი „ილუზიონი"**
**ს. ო. ივანიცკისა**
**მიხეილის პროსპექტი, ს. ვეტცელისა.**
რადგან სინემატოგრაფიულ ლენტების ქირაობის დროს თითონ მე არა ერთხელ მომატყუეს სხვა და სხვა ფირმებმა. განსაკუთრებით როსტოველმა ფირმებმა, ამიტომ საზღვარ-გარედ ყოფნის დროს ხელშეკრულება დაუდე ფრანგულ საზოგადოებას
**ლენტების გასაქირავებელ კანტორის**
დასაარსებლად იმ აზრით, რომ ღარიბ პროვინციელ პროექტორებს, რომელნიც დიდ ფულს იხდიან ლენტების ქირაობის დროს, შეეძლება მიეცეთ მიიღონ სურათები **სულ მცირე ფასებში.** ქირის პირობები ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული, ეხლა კი, კანტორის გახსნამდე, ცნობების გაგება შეიძლება პირადად ჩემთან. (5—1019—5)

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი**
**საკომერციო ცოდნათა კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა.**
ტფილისი, მიხეილია პროსპექტი, № 24/4.
ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰხალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.
**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**
**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ეკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—18)

**ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი**
**საბუხჰალტრო კურსები**
**ნ. ვ. აბრაამიანისა.**
ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.
კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.
კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.
კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები.
ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—20)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНИИ ЗИНГЕРЪ
**1 მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ **1 მანეთიდან**
**● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●**
**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაე.—2)
THE SINGER MANF'G. CO. TRADE MARK


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.